პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ივნისი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 144 (14444)

ლენინურ ჟურნალის ანბანი

კრეფენ ივლისის გეგმით

სოხუმი. (საკ. კორ.) ფოთლის ყოველკვირეულ ამინდში და განუწყვეტლივ კრეფის შედეგად აფხაზეთის მეჩაიეებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. 18 ივნისისათვის მოკრიფეს 19.080 ტონა ფოთოლი ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 18.983 ტონისა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ გალის, ოჩამჩირის და სოხუმის რაიონების მშრომელები. ახლა ფოთლის ძირითადი მასა კრეფენ.

აფხაზეთის მეჩაიეთა პირობაა წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 38.225 ტონა ფოთოლი ნაცვლად 37.225 ტონისა.

გალის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების 80 პროცენტი მექანიზებულია: სურათზე: ბრიგადირი გ. ძაძუა და მექანიზატორი მ. უბირია ამოწმებენ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ფოტო ი. პოხრენელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება

PRAVDA

21 ივნისის მოწინავე

საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია შედეგები კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისა, რომელიც 5-დან 17 ივნისამდე მიმდინარეობდა მოსკოვში. თათბირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს ყველა კონტინენტის 75 მოძმე პარტიის დელეგაციები, განიხილა კომუნისტური მოძრაობის აქტუალური პრობლემები, მისი ამოცანები მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

თათბირის მუშაობა და მის მიერ მიღებული დოკუმენტები მოასწავებენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდ წარმატებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთიანობის განმტკიცებაში, მეგალი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებაში. ამას ხელი შეუწყო როგორც თათბირის ყოველმხრივმა საფუძვლიანმა, კონსტრუქციულმა და დემოკრატიულმა მომზადებამ, ისე ამხანაგური სოლიდარობის ატმოსფერომ, რომელშიც თათბირი მიმდინარეობდა. ღრმა და პრინციპულმა, საქმიანმა და თავისუფალმა დისკუსიამ საშუალება მისცა თათბირის მონაწილეებს შეეჯერებინათ განსახილველი საკითხებზე ცალკეულ პარტიათა შეხედულებანი და შეფასებანი.

ხელმძღვანელობდა რა თანამედროვეობის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზით, თათბირმა გამოიმუშავა ერთიანი მოქმედების საბრძოლო პლატფორმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. ეს პლატფორმა ასახავს მოძმე პარტიების საერთო პოზიციებს ძირეულ პრობლემებზე და ამავე დროს ითვალისწინებს კომუნისტთა საერთაშორისო არმიის ცალკეული რაზმების საქმიანობის პირობებს.

თათბირმა მიიღო დოკუმენტი — „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“ და „კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“. კომუნისტები, მშრომელები, მთელი პროგრესული ძალები მასში ნახავენ მოქმედების საბრძოლო პროგრამას, რომელიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ გაიერთიანოს ისინი საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მისი აგრესიისა და რეაქციის პოლიტიკის წინააღმდეგ, გააქტიუროს ეს ბრძოლა მსოფლიოს ყველა ნაწილში.

თათბირის მონაწილეებმა მხურვალედ, ენთუზიაზმით მოიწონეს მიმართვა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ“, რომელიც შეიცავს მოწოდებას ღირსეულად აღნიშნონ სახელოვანი იუბილე. ახალი დოკუმენტის მიღების თვით ფაქტს დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ლენინის სახელი გახდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების, იმ უდიდეს რევოლუციურ გამარჯვებათა სიმბოლო, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალეს მსოფლიოს სოციალური სახე, დაადასტურეს კაცობრიობის შემობრუნება სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ. მსოფლიო სოციალიზმის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელმა გამოცდილებამ დაამტკიცა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ინტერნაციონალური მნიშვნელობა.

კომუნისტებს, ხაზგასმულია მიმართვაში, თავის ამოცანად მიიჩნიათ, რომ ყოველი ტტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცედ დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპები, განუხრელად დაამკვიდრონ ისინი, ყოველდღიურად განავითარონ მარქსისტულ-ლენინური თეორია, გაამდიდრონ იგი „ლენინური ბრძოლისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე გამოცდილების საფუძველზე. მოძმე პარტიების ბევრმა დელეგაციამ პრინციპულად გააკრიტიკა დოგმატურ-შოვინისტური კურსი ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელებისა, რომლებმაც უღალატეს მარქსიზმ-ლენინიზმს, ეწევიან ძირგამოთხრილ, გამოთვლილ საქმიანობას კომუნისტურ მოძრაობაში და ამით ხელს უწყობენ იმპერიალიზმს.

თათბირმა დაადასტურა, რომ მსოფლიოს კომუნისტები ერთგული არიან მარქსიზმ-ლენინიზმისა, მათი ურყევი ნებაა განამტკიცონ ერთობა და შეკავშირება.

თათბირმა მსოფლიოს ხალხებს მიმართა მოწოდებით „დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ვიეტნამს!“. ეს მოწოდება ადასტურებს თათბირზე წარმოდგენილი კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობას თანამედროვე ეტაპზე ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ყველაზე მწვავე საკითხში, დასტურებს, რომ კომუნისტები ინტერნაციონალურ სოლიდარობას უცხადებენ და მხარს უჭერენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს.

თათბირმა გამოაქვეყნა „მოწოდება მშვიდობის დასაცავად“. მასში კონცენტრირებულად არის ჩამოყალიბებული პოზიცია თანამედროვეობის კარდინალურ პრობლემაზე. იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მოსახლეობის უფართოეს და სხვადასხვა ფენებს გააძლიერონ ერთობლივი ბრძოლა მსოფლიო თერმოიატომური კონფლიქტის საფრთხის წინააღმდეგ, აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისა და უშიშროებისათვის. დოკუმენტი განაგრძობს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ომისსაწინააღმდეგო, ანტიმილიტარისტულ ტრადიციას.

თათბირზე მიღებულია განცხადება ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისათვის მხარდასაჭერად, აგრეთვე იმ კომუნისტებთან და დემოკრატებთან სოლიდარობის განცხადებანი, რომლებიც უსასტიკეს რეპრესიებს განიცდიან და მძიმე პირობებში თავდადებით იბრძვიან რეაქციული დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ, რომლებსაც საერთაშორისო იმპერიალიზმი უჭერს მხარს.

„თათბირზე მიღებული დოკუმენტები ჩვენ ყველას ახალ იარაღს გვაძლევენ ჩვენს საერთო ბრძოლაში, — თქვა საერთაშორისო თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. — ისინი დაეხმარებიან ყველა ქვეყნის კომუნისტებსა და მშრომელებს უფრო ნათლად დაინახონ იმპერიალისტური აგრესიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის გზები. ეს დოკუმენტები ჩვენი ერთობლივი ძმური მოწოდებაა დედამიწის მთელი პატიოსანი, პროგრესული ძალებისადმი, რომლებიც ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და ბედნიერების საქმისათვის იბრძვიან“.

მიღებული დოკუმენტები კარგი, საიმედო საფუძველია კომუნისტური და მუშათა პარტიების შემდგომი დიდი მუშაობისათვის, მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის. თათბირის შედეგები შეეხამება თვითეული კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს. თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კომუნისტთა საერთაშორისო შეხვედრები მომწიფებული პრობლემების განხილვისა და ერთობლივი მოქმედების პროგრამის შემუშავების დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

კომუნისტებს, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთ დიდ პატივად მიიჩნიათ, რომ მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ესოდენ წარმომადგენლობითი შეხვედრა გაიმართა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. თათბირის მუშაობის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე მის სახელზე მოდიოდა წერილებისა და დეპეშების ნაკადი—მიღებული 14 ათასზე მეტი წერილი და დეპეშა, — რომლებშიც საბჭოთა ადამიანები კომუნისტთა ფორუმს უსურვებენ წარმატებებს, გამოთქვამენ რწმენასს, რომ თათბირი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ერთიანობის განმტკიცებაში, რაც მსოფლიო კომუნიზმის შემდგომი წარმატებების გარანტია მისი დიდი ისტორიული მიზნებისათვის ბრძოლაში. ამაში კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპებისადმი.

თათბირის დღეებში მოძმე პარტიების დელეგაციები გულთბილად და გულითადად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა დიდი ზეგავლენ შეიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლაში. კრემლში გამართულ დარბაზობაზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. გომულკამ, ხაზი გაუსვა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამსახურებას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, თქვა:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აღუღმად მსოფლიოში გადამწყვეტი ძალა გახდა, რომელთანაც ვერაფერს გახდება კაპიტალზმი. თუ დღეს ვამბობთ, რომ იმპერიალიზმს უკვე აღარ შეუძლია ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ომისა და მშვიდობის ბედი, ეს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამსახურებაა. ამას უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ძლიერებას უნდა ვუმადლოდეთ. ეს ობიექტური ფაქტორია, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დააყენა მსოფლიოს თანასწორუფლებიან კომუნისტურ პარტიებს შორის პირველ ადგილზე“.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი მადლიერებითა და შთაგონებით აღიქვამენ, რომ თანამებრძოლი ამხანაგები ასეთ მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, მათს წვლილს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლაში. კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს შთაგონებს თათბირზე მიღებული დოკუმენტი, რომელიც ეძღვნება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძალლონეს არ დაიშურებს, რომ ხელი შეუწყოს იმ ახალი პერსპექტივების განხორციელებას, რომლებიც დასახულია ჩვენი ბრძოლის ნინაზე, მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების წინაშე.

თათბირმა კომუნისტური მოძრაობა გაამდიდრა ახალი ისტორიული გამოცდილების განზოგადებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რევოლუციური თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებაში. თათბირის შედეგები ხელს შეუწყობს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებას, მისი ძალის, ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას, კომუნისტების, მშრომელთა ფართო მასების, მთელი პროგრესული კაცობრიობის შეკავშირებას ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის, თანამედროვეობის სამი ძირითადი ძალის — მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანებისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ენაზე გაისმის თათბირის საბრძოლო მოწოდება:

— სოციალისტური ქვეყნების ხალხებო, პროლეტარებო, კაპიტალისტური ქვეყნების დემოკრატიულო ძალებო, განთავისუფლებულო და ჩაბნელო ხალხებო — გაერთიანდით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლაში!

ყველა მაჩვენებლით

პირველ კვარტალში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის ხელზედ მეთხუთმეტედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა. მაგრამ ფეიქრები ამას როდი დასჯერდნენ. მათი ახლანდელი მაღალნაყოფიერი შრომა იმის გარანტიას იძლევა, რომ ისინი მეორე კვარტალშიც არავის დაუთმობენ პირველ ადგილს. ხუთ თვეში აქ გეგმის კადამეტებით გამოუშვეს 857 ათასი მანეთის პროდუქცია. მომხმარებელმა მიიღო ოთხი ათასამდე ეტრი სხვადასხვა ასორტიმენტის ზეგეგმითი ქსოვილები. საწარმოში შრომის მეცნიერული ორგანიზაციით, ტექნიკური პროგრესის განხორციელებით ფეიქრებმა უკვე 6,4 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, ამასთან 0,32 პროცენტით გაზარდეს პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი და გეგმის გადამეტებით მოიხდინეს 537 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ვადამდე შეავსრულოთ მეორე კვარტალის დავალება — ამ ღირებულ შრომობენ ახლა კომბინატის ფეიქრები, რომელთაგან ბევრი უკვე ივლისის ანგარიშში მუშაობს.

გალის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების 80 პროცენტი მექანიზებულია. **ბურაბაში:** ბრიგადირი გ. ძაძუა და მექანიზატორი მ. უბირია ამოწმებენ მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხს.

ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ი. ცედენბალთან

20 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ი. ცედენბალი**, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

ლ. ი. ბრეჟნევსა და **ი. ცედენბალს** შორის გაიმართა მეგობრული გულითადი საუბარი, რომლის დროსაც განხილულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი პრობლემა. საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხზე კავლა დადასტურდა მხარეების შეხედულებათა სრული ერთიანობა.

ვიეტნამის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციის გამგზავრება

20 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ი. ცედენბალის** მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. მოლომჟანცი**, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ბ. ლხამსურენი**, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილე დელეგაციათა გამგზავრება

მოსკოვიდან გაემგზავრნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობაში მონაწილეები:

ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის წევრის ამხ. ლ. ბუხალის მეთაურობით;

ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის დელეგაცია ამხ. ჟ. დორსილიეს მეთაურობით;

საბერძნეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. კ. კოლიანისის მეთაურობით;

დომინგოს კომუნისტური პარტიის დელეგაცია ამხ. მ. სანჩესის მეთაურობით;

ისრაელის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ვილნერისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ამხანაგების ტ. ტუბის, ს. ხენინისა და ს. ხამისის შემადგენლობით;

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის დელეგაცია პარტიის მდივნის ამხ. ე. პაპაიოანუს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ამხ. მ. პუმპურისის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. გ. სავიდისის შემადგენლობით;

ნიგერიელ მარქსისტ-ლენინელთა დელეგაცია ამხ. ტ. ოტეგბეის მეთაურობით;

ნიკარაგუას სოციალისტური პარტიის დელეგაცია;

ტუნისის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ჰარმელის მეთაურობით;

თურქეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია;

სუდანის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ა. ჰ. მაჰჯუბის მეთაურობით.

კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები გაიცილეს ამხანაგებმა ი. ვ. კაპიტონოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა, პასუხისმგებელმა პარტიულმა მუშაკებმა. (საქდესი).

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲔᲑᲐ

• **გულითადად** მივესალმებით მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეებს — ბევრი ქვეყნისა და ხალხის, მასობრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში შეიკრიბნენ, რათა განიხილონ ჩვენი დროის აქტუალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და მსოფლიო რაკეტულ-ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლასთან.

ჩვენს დროში ომისა და მშვიდობის პრობლემების გადაწყვეტა უდიდესი როლი ეკუთვნის ხალხებს, მათს აქტიურ და ერთობლივ მოქმედებას. მშვიდობის მომხრეთა და ომისსაწინააღმდეგო სხვადასხვა მოძრაობის მონაწილეთა მასობრივმა აქციებმა კონკრეტული და დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმპერიალისტური წრეების აგრესიული გეგმების ჩაფუშვისათვის ბრძოლაში. და მაინც კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ავლაგმოთ ისინი, ვინც თავის იმედებს უკავშირებს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, გამაღიზიანებელ შეიარაღებას, ავლაგმოთ ისინი, ვისაც საქმე ახალ საომარ კონფლიქტებამდე მიჰყავს.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები იძულებული იყვნენ დაათანხმებულიყვნენ პარიზის მოლაპარაკებაზე, მაგრამ ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ გრძელდება. ისრაელის აგრესიული მმართველები, რომლებიც უარს აცხადებენ არაბული სახელმწიფოების ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანაზე, აძლიერებენ დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იზრდება მილიტარიზმი, ძალებს იკრებენ ნაციისტური და რევანშისტული წრეები. გადასაჭრელია ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა. ჩვენი პლანეტის უდიდესი ძალები და რესურსები ხმარდება გამალებულ შეიარაღებას.

ვსარგებლობთ რა შემთხვევით, გვინდა აღვუთქვათ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და თავისუფლების იდეები, რომ მათ შეუძლიათ სავსებით იქონიონ საბჭოთა კავშირის იმედი. საბჭოთა ადამიანების სიმპათიები იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, განამტკიცებენ თავიანთ სუვერენიტეტსა და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

საბჭოთა ხალხი კვლავაც განუხრელად და თანმიმდევრულად იბრძოლებს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების პრაქტიკულად დაცვისათვის, იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, ფართო საქმიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, იბრძოლებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ყოველი ხელყოფის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი კვლავაც ყოველმხრივ დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ ვიეტნამის მამაც ხალხს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში; კვლავ მტკიცედ დაუჭერენ მხარს არაბ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია; თანმიმდევრულად იბრძოლებენ ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ჩვენ კვლავ ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მივადწიოთ გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა ატომური შეიარაღების შეწყვეტას.

ვუსურვებთ ბერლინში მშვიდობისმოყვარე ძალების შეხვედრას ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებებს!

ლ. ბრეჟნევი — ა. კოსიგინი

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ამა წლის 20 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე ჩამოსული ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. კორვალანი**, ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრი ამხ. **ვ. ტეიტელბოიმი**, ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **გ. დიასი** და ჩილეს კომპარტიის გაზეთ „ელ სიგლოს“ მთავარი რედაქტორი ამხ. **რ. როხასი**. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. პ. კირილენკომ** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ბ. ნ. პონომარიოვმა.**

ჩილეს კომპარტიის დელეგაციამ ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვის ჩილელი ხალხი რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რევოლუციური გარდაქმნებისათვის და რა საქმიანობას ეწევიან ჩილელი კომუნისტები იმისათვის, რომ შეაკავშირონ მუშათა კლასის გმირული ბრძოლა ანტიიმპერიალისტური და ანტიოლიგარქიული ძალებთან.

ამხ. **ლ. კორვალანმა** მიიწვია სკკპ დელეგაცია ჩილეს კომპარტიის მომავალ XIV ყრილობაზე.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** ჩილელ ამხანაგებს გააცნო ის ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი წყვეტს საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა და ილაპარაკა ძმურ სოლიდარობაზე ლათინური ამერიკის ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იმპერიალისტური ძალების ხრიკების წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობის შედეგებს, რომელიც უდიდესი მოვლენა იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და აღნიშნა, რომ მათი თვალსაზრისი ერთმანეთს დაემთხვა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველა ძირითად პრობლემაზე.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

• • •

20 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ბ. ნ. პონომარიოვი** შეხვდნენ კოლუმბიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელიც მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ხ. ვიეირა**, ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ამხ. **მ. სეპედი** და ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. **ი. ორტიგოსი.**

შეხვედრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემებზე. ორივე მხარემ მაღალი შეფასება მისცა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებს როგორც დიდ მოვლენას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღებაში, როგორც ახალ ეტაპს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევმა** კოლუმბიელ ამხანაგებს გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა და საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები ძმურად ეხმარებიან ებრაელ განამტკიცონ ძმური სოლიდარობა ლათინური ამერიკის ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ამხ. **ხ. ვიეირამ** ილაპარაკა კოლუმბიელ კომუნისტთა წარმატებებზე კოლუმბიელი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში, ქვეყნის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების გაერთიანების საქმეში.

შეხვედრამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საქდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ბელორუსის სახელმწიფო რაიონული ელექტრომიმართველობის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1969 წლის 20 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ამ ელექტროსადგურის მშენებლობის დროს.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდებულია 12 კაცი, „სპატიო ნიშნის“ ორდენით — 22, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 19 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის — 22 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და ადგილობრივ პრესაში.

ᲚᲝᲥᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

მხურვალე ტაში გრიალებდა 20 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის თაღებქვეშ. აქ გაიმართა ლოქის დიდი თეატრის მსახიობთა დასკვნითი კონცერტი. ეს იყო საქ

ᲕᲘᲚᲜᲐᲕᲚᲝᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘ

ᲩᲕᲐᲚ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ, ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲩᲕᲐᲚ, 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ, ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲗᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲗᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ. ᲠᲘᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲘᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲕᲔᲚᲘᲗ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ

ᲨᲔᲙᲠᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ უნივერსიტეტში ორნახევარ ათასზე მეტი ახალი სტუდენტი დაიწყებს სწავლას. ამ რიცხვში მოხვდებიან ისინი, ვინც ყველაზე უკეთ ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს აგვისტოში.

უნივერსიტეტში მიღების წესები, აგრეთვე მისაღები გამოცდების პროგრამები, მოწონებული და დამტკიცებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ, უკვე ხელმისაწვდომია ყველა აბიტურიენტისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამებს შორშანღელთან შედარებით არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ორგანიზაციაში ზოგი სიახლე იქნება. სასურველია, რომ ეს გარემოება აბიტურიენტებმა წინდაწინაც გაითვალისწინონ. ზოგიერთ საგანში შემოღებულია ზეპირი გამოცდის ნაცვლად წერითი გამოცდა. წერითი გამოცდები მოეწყობა ფიზიკაში ბიოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის, ქიმიაში — ქიმიკოსებისათვის, ისტორიაში — ყველა ფაკულტეტზე, გარდა ეკონომიური და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტებისა.

ამ ღონისძიების მიზანია უფრო საფუძვლიანად შემოწმდეს აბიტურიენტების ცოდნა, უკეთ გამოვლინდეს მათი მომზადების დონე და დამოუკიდებლად აზროვნების უნარი. ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე გამოცდების დროს ობიექტურობის მაქსიმალურ დაცვას, აბიტურიენტის ცოდნის შეფასებისას სუბიექტური მიდგომის გამოთიშვას.

წერითი გამოცდის თავსებურება იმაში გამოისახება, რომ აბიტურიენტი საკითხებს გაიშუქებს წერილობით. მისი ცოდნა საგამოცდო კომისიის მიერ მოწმდება ამ ნაწერის მიხედვით. ბილეთებში კი მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები იქნება შეტანილი. წერითი გამოცდისათვის საკმაო დრო გამოიყოფა და ის მშვიდ ვითარებაში მოეწყობა.

აბიტურიენტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ფიზიკის ჩაბარებისას მათ მიეცემათ ზოგი ისეთი საკითხიც, რომელთა სრულყოფილად გაშუქებისათვის დასჭირდებათ მათემატიკური აპარატის გამოყენება საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

უნივერსიტეტში წელს დამატებით ხუთი ახალი სპეციალობა გაიხსნა. ეს სპეციალობანია: გამოყენებითი მათემატიკისა; პოლიტიკური ეკონომიისა; მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციისა; მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციისა; რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკისა და ორგანიზაციისა.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათემატიკას დღევანდელ პირობებში. არ არის მეცნიერებისა და ტექნიკის არე ერთი დარგი, რომლის განვითარებაში მათემატიკა მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდეს. განსაკუთრებით გაიზარდა მათემატიკის გამოყენება სწრაფდამფთვალი ელექტრონული მანქანების განვითარებასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ უფრო ეფექტური გახდეს მათემატიკის გამოყენება სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალური პრობლემების შესწავლისათვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გამოყენებითი მათემატიკის სწავლების გაძლიერება უნივერსიტეტებში.

მთელ რიგ წამყვან უნივერსიტეტებთან, როგორიც არის მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, კიევის, თბილისისა და სხვ., წელს გაიხსნა გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობა. თბილისის უნივერსიტეტში ამჟამად შექმნილია ყველა პირობა ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

სტუდენტები ბრაქტიკას გაივლიან უნივერსიტეტის ვამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, რომელიც უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პერსონალით და თანამედროვე მძლავრი გამოთვლითი მანქანებით. იმედია, ახალგაზრდობა დიდ ინტერესს გამოიჩენს ამ ახალი და მეტად საინტერესო დარგისადმი. ამ დარგის სპეციალისტებისათვის ფართო ასპარეზი იშლება პრაქტიკულ და შემოქმედებითს სფეროში.

უნივერსიტეტში წინათ ეკონომიურ ფაკულტეტზე არსებობდა მხოლოდ სპეციალიზაცია პოლიტიკური ეკონომიისა, რომელზეც ხდებოდა სტუდენტთა შერჩევა უფროსი კურსებიდან სხვა სპეციალობათა სარჯზე. მომდინარე წელს უნივერსიტეტში იქმნება ახალი, დამოუკიდებელი სპეციალობა „პოლიტიკური ეკონომია“. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულნი იმუშავებენ უმაღლეს და სამუშაო სპეციალურ სასწავლებლებში პედაგოგებად, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში. — მეცნიერ მუშაკებად.

დანარჩენი ზემოთ აღნიშნული სპეციალობანი: მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია, როგორც მათი სახელწოდებებიც გვიჩვენებს, საინჟინრო ეკონომიკის დარგებს განეკუთვნებიან. ამ სპეციალობათა მნიშვნელობა სასაღო მეურნეობისათვის მეტად დიდი.

ეკონომიკის ფაკულტეტი, მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკის და ფიზიკის ფაკულტეტების დახმარებით, ყოველმხრივ უზრუნველყოფს ამ დარგების სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადებას: სტუდენტები გაიცლიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას მოწინავე საწარმო-დაწესებულებებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ისინი იმუშავებენ როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

წელს, ასევე როგორც წინათაც, უნივერსიტეტი ახალი კონტინგენტის მიღებას კარგად ჩატარებისათვის დიდ მუშაობას აწარმოებს. როგორც აბიტურიენტებისაგან საბუთების მიღება, ისე მისაღები გამოცდების ორგანიზაცია მოხდება არსებული წესების ყველა მოთხოვნათა დაცვით. მისაღები გამოცდების კომისიებში შეყვანილ იქნებიან ჩვენი უნივერსიტეტის ჯამოცდილი პედაგოგიური ძალები. მიღებულია ყველა ზომა იმისათვის, რომ ყოველი აბიტურიენტის გამოცდა ისეთ ვითარებაში მოეწყოს, რომელიც ხელს შეუწყობს მისი ცოდნის მაქსიმალურად გამომჟღავნებას. აბიტურიენტები, რომელიც მომზადებულად მოვა გამოცდაზე და საფუძველიანად დაუფლებულია პროგრამებით გათვალისწინებულ მასალას, უეჭველად მოიპოვებს შესაფერის შეფასებას; წელს, ისე როგორც წინა წლებშიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე მისაღები კონტინგენტია. ამიტომ, ცხადია, ყველა მსურველი, მათ შორის საკმაოდ კარგად მომზადებულიც, უნივერსიტეტში ვერ მოხვდება.

წინა წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით დიდია ლტოლვა იურიდიული, ისტორიული, ფილოლოგიური და ბიოლოგიური ფაკულტეტებისაკენ.

მსურველთა მოგბარებულობის გამო, აღნიშნული ფაკულტეტების გარეთ ხშირად რჩებიდნენ საკმაოდ კარგად მომზადებული ახალგაზრდები. ამასთან დაკავშირებით, მინდა ვურჩიო აბიტურიენტებს მხედველობაში მიიღონ ეს გარემოება და მომავალი პროფესიის შერჩევის დროს გაითვალისწინონ მათი სურვილის განხორციელების რეალური შესაძლებლობანი.

უნივერსიტეტში კონკურსის წესით სტუდენტთა ჩარიცხვას წინა წლებში აძნელებდა ერთი გარემოება. სახელდობრ, ზოგ ფაკულტეტზე, როგორიც არის იურიდიული და ბიოლოგიური, ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლეოდა აბიტურიენტებს, რომელნიც პროფილით მუშაობენ. წელს თავიდან რომ ავიცილოთ ყოველგვარი აბეზარბრობა, რომელსაც ადგილი ექნება ზოგჯერ წინათ, მიმღებმა კომისიამ გადაწყვიტა წინასწარ შეისწავლოს წარმოდგენილი საბუთები და გამოცდების დაწყებამდე განსაზღვროს იმ პირთა სია, ვისაც ექნება პროფილით მომუშავის უპირატესობა. თუ გამოცდის დაწყებამდე წარმოდგენილი საბუთები არ აძლევენან ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის საშუალებას, აბიტურიენტი დაიშვება გამოცდაზე, თუ სხვა საბუთები რიგზე იქნება, მაგრამ მისი ჩარიცხვა მოხდება საერთო კონკურსის წესით. ამის გამო, ყველა აბიტურიენტმა, ვინც ქრიზიტით მომუშაოა, არაუგვიანეს ივლისის 25 რიცხვისა უნდა წარმოადგინოს მიმღებ კომისიაში ყველა საჭირო საბუთი.

თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც გასულ წელს სახალხოდ აღიარა თავისი არსებობის 50 წელი, დიდი იმედით შეაყურებს მომავალს. ამ მომავლის მესაჭე იქნება ჩვენი მოზარდი თაობა, კერძოდ ისინი, ვინც პირველად წელს შემოვა ჩვენს უნივერსიტეტში.

ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘᲗ ᲐᲚ. ᲑᲐᲑᲣᲐᲫᲔᲡ?

ᲓᲔᲠᲑᲘᲜᲘᲡ ᲫᲛᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ

ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ სს რესპუბლიკის გომელის ოლქის ოკტიაბრსკის რაიონში არის პატარა სოფელი დერბინი. 1967 წლის 26 სექტემბერს აქ საბჭოთა მეომრების ძმათა საფლავთან შეიკრიბნენ ახლომახლო სოფლების მცხოვრენი, დერბინის დაწყებითი სკოლისა და ვოლოსოვიჩის სამუალო სკოლის პიონერები და მოსწავლეები სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ქართველი ხალხის შვილის, 544-ე მსროლელი პოლკის ყოფილი რიგითი ჯარისკაცის ალექსანდრე ივანეს-ძე ბაბუაძის ხსოვნას.

ა. ბაბუაძე 1944 წლის 25 იანვარს გმირულად დაეცა აქ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში. სოფელ დერბინის მადლიერი მცხოვრენი არ ივიწყებენ იმათ, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა მათს განთავისუფლებას. საფლავი მზრუნველად არის მოვლილი.

ძვირფასი ალექსანდრეს ნეშტისათვის პატივის საცემად საქართველოდან ჩამოვიდნენ მისი ღვიძლი ძმა შალვა ბაბუაძე და ნათესავები. მათ თან ჩამოიტანეს მშობლიური ქართული მიწის ნაფილი, იმ მიწისა, რომელზეც აღიზარდა ალექსანდრე ბაბუაძე.

ჩვენი ოკტიაბრსკის რაიონის ტერიტორიაზე ძმათა საფლავებში დაკრძალულია 2.000-ზე მეტი საბჭოთა მეომარი, მათ შორის ბევრნი საქართველოდან.

მ. ᲨᲘᲨᲙᲝᲕᲘ.
ოკტიაბრსკის რაიონის სამხედრო კომისარი.



ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ რუხში დიდი ხანია ტრადიციად იქცა ახალგაზრდების მიღება კომკავშირის რიგებში ამ სოფლის საამაყო შვილის საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ძეგლთან.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ვინარი სხულუხია სამკერდე ნიშნებს გადასცემს მომავალ კომკავშირელებს.

ფოტო **ბ. ᲙᲘᲙᲕᲫᲘᲫᲘᲡᲐ** და **ბ. ᲡᲝᲤᲝᲚᲝᲕᲘᲡᲐ**
(საქდესის ფოტოკორონიკა).

ᲠᲝᲪᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲛᲐ ᲘᲤᲔᲗᲥᲐ

ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ კვირა იყო, როგორც დღეს. 1941 წლის 22 ივნისი. — შავ კვირად წოდებული.

ჩვენი სამშობლოს მოწმენდილ ცაზე შავი ღრუბლები წამოიშალა. ომის ხანძარმა იფეთქა. ეს საშინელი ამბავი საბჭოთა ხალხმა, ოფიციალურად მხოლოდ დღის თორმეტ საათზე შეიტყო, როცა ჩვენი მესაზღვრეები და საზღვრის მახლობლად განლაგებული საჯარისო ქვედანაყოფები უკვე სასტიკ სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ვერაგულად შემოსეული ურდოების წინააღმდეგ.

ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოეთის ქვეყანას — მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, მშვიდობის ბურჯს.

საბჭოთა ხალხი აღდგა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისათვის.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ეს იყო 28 წლის წინათ. ამ ომმა, რომელიც ოთხ წელზე მეტს ხანს გაგრძელდა, მილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ათეულათასობით ჩვენი თანამემამულეც იყო. ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და თავიანთი სიცოცხლეც შესწირეს ამ დიად საქმეს.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მოუხდათ ჩვენს მეომრებს ომის პირველ დღეებში. ისინი გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჰიტლერული გერმანიის თავით ფეხამდე შეიარაღებულ, ევროპაში ომებგამოვლილ, ნაწრთობ, ამასთან რიცხობრივად ჭარბ ჯარებს.

მიუხედავად ამისა, წითელი არმიის მეომრები არ შემდრკალან მტრის უპირატესობის წინაშე, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით ანთებულ ვაჟკაცებს წარბი არ შეუხრიათ, ფაშისტებს გამანადგურებელ დარტყმებს აგემებდნენ იქ, სადაც ისინი არ მოელოდნენ.

წითელი არმიის ქართველ მეომართა ვაჟკაცობასა და გმირობაზე ბევრი დაწერილა, კიდევ ბევრი დაიწერება. მაგრამ იმ გრძნობებს, რასაც ისინი ბრძოლებში ატარებდნენ, ისე ვერავინ გამოხატავს, როგორც ის გამოხატულია თვითონ გმირ მეომართა ფრონტულ წერილებში.

მკითხველს ამჯერად ვთავაზობთ მხოლოდ ორი მეომრის ასეთ წერილებს. ისინი ეკუთვნის ომში გმირულად დაღუპულ ქართველ ვაჟკაცებს, რომელთა ოპტიმისტური განწყობილება შესანიშნავად არის გამოხატული ამ ბარათებში.

□

ᲢᲐᲜᲙᲘᲡᲢᲘ ვლადიმერ გუბლაძე 1941 წლის 24 ივნისს სახლში წერდა:

„გამარჯობათ, მშობლებო! ჩემი საქმე ასეა: გადავედით ძველი ადგილიდან. თქვენ უკვე გეცოდინებათ, როგორ არის საქმე. ორი დღეა მივდივართ გზაზე, ომში, გერმანიის ფრონტზე. არაფერი იდარდოთ. მარტო თქვენს თავზე არ არის ასე. მე მხოლოდ გული იმაზე მწყდება, რომ დიდი ხანია არ მინახიხართ. ეს ომი რომ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ოღონდ მსხვერპლიც დიდი იქნება. შესაძლოა სამშობლოსათვის ბრძოლაში მეც დავეცე ბრძოლის ველზე. თუ მაინცა და მაინც ასე მოხდა, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი შვილი მხოლოდ გმირულად დაიღუპება სამშობლოსათვის და არა ლაჩრულად. გერმანელ ფაშისტებს ორმაგად მიეზღვებათ ჩვენი უდანაშაულო ხალხის სისხლის დაღვრისათვის“...

ერთი თვის შემდეგ ვლადიმერი მეორე წერილს უგზავნის მშობლებს:

„ბისურვებთ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას. ახლა ჩემს ამბავს ოკითხავთ. მოგიყვებით თავიდან: პირველად, კვირა დღეს — 22 ივნისს, ჩვენს პოლკში გამოცხადდა განგაში. ეტყობოდა, რომ ეს არ იყო სასწავლო განგაში. ამას რაღაც ომის სუნი უდიოდა. და მართლაც, 4 საათის შემდეგ გამოგვიცხადეს, ფაშისტურმა გერმანიამ საზღვარი დაარღვია და ომის გამოუცხადებლად ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრაო. ამის შემდეგ ვეებრძანეს საომრად მოგვემზადებინა ტანკები. მივიღეთ ყველაფერი ახალი და ღამით წავედით ფრონტის ხაზისაკენ, რომელიც ჩვენგან 300 კილომეტრით იყო დაცილებული. მის შემდეგ სულ ბრძოლაში ვიყავი. ამიტომ წერილიც ვეღარ მოგწერეთ. 15 ივლისს დილით კი დავიჭერი შუბუქად, მაგრამ ძალიან საშიშ ადგილზე — საზარდულში... ახლა ჰოსპიტალში ვარ, მითხრეს: მალე გამოკეთდები და წახვალ შენს ნაწილშიო. მაგრამ ექიმები ექიმები არიან და ასე იოლად რიდი იმეტებენ ჰოსპიტლიდან გაწერას.

მე აქ რა გამაჩერებს. მოკუცდი ერთი ოთხ დღეს და, თვითონ გავიპარები ფრონტზე, ჩემს ნაწილში. ისევ ბრძოლა, ბრძოლა. ეს ბრძოლა ბოლოს ერთ-ერთ ადგილზე ასეთ ამბავს ეტყვიან: ბიჭო, ეს ასეთ-ასეთ ადგილზე ასეთ-ასეთ ამბავია, ასეთ-ასეთ ბრძოლა მიდიოდა, ასეთ-ასეთ ბიჭებს ებრძოლა, ასეთ-ასეთ ბიჭებს ებრძოლა, ასეთ-ასეთ ბიჭებს ებრძოლ

აბასთუმანი ხარაჩოებში

ადიგენი. სულ უფრო იზრდება, მშვენდება და ლამაზდება „სურორტი აბასთუმანი. წელიწადი ისე არ გავა, რომ აქ საზოგადოებრივი მნიშვნელობის რაიმე ახალი ობიექტი არ აშენდეს.

ამ გზაფხულზე აბასთუმნელებმა მიიღეს „ეთილმოწყობილი 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. უახლოეს ხანებში „ი აქ საექსპლოატაციოდ გადაეცემა კაფე-პავილიონი და სანატორიუმ „აღობილის“ ხუთსართულიანი საძინებელი კორპუსი, რომელიც მომსახურებას გაუწევს 200-ზე მეტ დამსვენებელს. სულ მალე „სურორტი მიიღებს აგრეთვე დღის გაბათებას.

ამჟამად მშენებლობის პროცესშია ახალი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, 100-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღი და 50-ადგილიანი სასტუმრო. წელს აქ „იდევ ერთ მშენებლობას ჩაეყარა საძირკველი. დაიწყეს ახალი ორსართულიანი კაფე-რესტორანის მშენებლობა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ სოფ. კორ.

მუვიდობის გზებზე

რ. ჯავრიშვილის ნამუშევართა გამოფენა

ბევრი მოგზაურობს ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ; ბევრი წერს თუ მოგვითხრობს თავის ნაანახსა და განცდილზე. მხატვარს კი თავისი მთავბეჭდილება ტილოზე გადაჰქონს და ფერებში ამეტყველებს უცხო ქვეყნის პეიზაჟებსა თუ ქალაქების ცხოვრებას, უცხო ხალხთა სახეებსა თუ ქცევას.

ამდენად ფუნჯის ოსტატთა ნამუშევრების გაცნობა ყოველთვის ჩვენი საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. ასეა იყო 16 ივნისსაც. სახატვრო სალონში შეკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მხატვრები, მეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, რეჟისორები, ახალგაზრდობა. ამ დღეს აქ გაიხსნა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის, ცნობილი პეიზაჟისტის რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევართა გამოფენა. ეს უკვე მესამე პერსონალური გამოფენა მოაწყო რ. ჯავრიშვილმა ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში. თუმცა მხატვარი ქალი მარტო პერსონალური გამოფენებით არ იფარგლება, მის შესანიშნავ პეიზაჟებს ყოველთვის შეხვდებით რესპუბლიკური თუ საქალაქო გამოფენებზე.

ხალხთა შორის მშვიდობა, მეგობრობა — აი მისი ახალანდელი გამოფენის მთავარი დევიზი. მსოფლიოს რვა ქვეყანაში იმოგზაურა რუსუდან ჯავრიშვილმა და ხელოვნების ყველა ჟანრში — ლანდშაფტებში, ნატურმორტებში, ადამიანთა სახეებში — ასახა ეპოქის ფერადოვანი ფერადი ფერები. ეს ფერადოვნება ეროვნულ ხასიათს ატარებს ყველა ქვეყნის ბუნებაში, ადამიანთა ცხოვრებაში, ეროვნულ ტანსაცმელში. ეს ეროვნული ხასიათი ეროვნული ფერებით ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული